საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-21/671
28/11/2019

671-გ-19-1-4-201911281530

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ააიპ მედიააკადემიის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) 2019 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსმა ნათია დევდარიანმა, კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შეუფერხებელი შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოადგინა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შემუშავდა 2019 წლის ფაქტიური შემოსავლებიდან და ხარჯებიდან გამომდინარე, ასევე აპარატის დეპარტამენტების და სამსახურების მიერ წარმოდგენილი, 2020 წლის სავარაუდო ხარჯების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად:

კომისიის 2020 წლის საპროგნოზო წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 11,997,069 ლარი, საიდანაც რეგულირების საფასურის შემოსავალი არის 8,645,994 ლარი, რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის შემოსავალი 3,138,075 ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავლები 213,000 ლარი, ხოლო სარეზერვო ფონდმა შეადგინა 3,134,931 ლარი. სულ 2020 წლის საპროგნოზო შემოსავალი და სარეზერვო ფონდი ჯამში არის 15,132,000 ლარი.

2020 წლის დაგეგმილი ხარჯების მოცულობა, 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის ფაქტიური ხარჯებიდან და კომისიის აპარატის დეპარტამენტებიდან და სამსახურებიდან წარმოდგენილი სავარაუდო (დაკორექტირებული) ხარჯების

გათვალისწინებით, განისაზღვრა 15,132,000 ლარით, მათ შორის ააიპ მედიააკადემიის ბიუჯეტი - 3,092,809 ლარით.

2020 წლის ძირითადი საშუალებების შეძენის მუხლი განსაზღვრულია -- 592,637 ლარით, რომელიც მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯებს.

საკანცელარიო და ჟურნალ-გაზეთების ხარჯებზე განსაზღვრულია 72,670 ლარი, კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯებზე -- 205,237 ლარი, ხოლო ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებზე -- 138,320 ლარი.

მივლინების ხარჯები განისაზღვრა 334,540 ლარით, ხოლო კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები წარმოდგენილია 427,403 ლარის ოდენობით.

საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა საპროგნოზო ხარჯებმა შეადგინა 1,248,082 ლარი, რომელშიც შედის საერთაშორისო საინფორმაციო პორტალებზე და ბაზებზე წვდომის, მედიამონიტორინგის პროგრამით მომსახურეობის, ინტერნეტის ხარისხის შემოწმების სისტემის მომსახურეობის და ლიცენზიის, მობილური და ფიქსირებული ინტერნეტის ფასების კვლევის, სიხშირეების ვადის გაგრძელების და სარგებლობის საფასურის დაანგარიშებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება, EBRD-ის საკონსულტაციო პროექტის თანადაფინანსების და კომისიის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები.

სხვა საერთო ხარჯები --- სულ თანხით 993,417 ლარი, შედგება სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქონლის, ოფისის შენობის და რადიო სპექტრის მონიტორინგის სადგურების დაცვის, მთარგმნელობითი მომსახურეობის, ფოსტის მომსახურეობის, 2018 წლის ფინანსური აუდიტის ჩატარების, გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯებისაგან.

შრომის ანაზღაურების და სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხების ხარჯები, საპენსიო სისტემის გადასახადებთან ერთად, გამომდინარეობს 2020 წლის საშტატო ნუსხიდან და დაიგეგმა 5,992,341 ლარით (მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების გარეშე).

კომისიის 2020 წლის ბიუჯეტში, ისევე როგორც გასულ წლებში, ცალკეა გამოყოფილი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები -- 30,000 ლარი და შრომის ანაზღაურების ხარჯები -- 198,778 ლარი, რითაც კომისიამ გაითვალისწინა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15[4] მუხლის მოთხოვნები.

შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი განსაზღვრულია 1,083,787 ლარით.

„მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებში 2017 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კომისიას განესაზღვრა საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის ფუნქცია და ამ მიზნით კომისიამ 2018 წლის 2 აგვისტოს დააფუძნა მედიაწიგნიერების სასწავლო-კვლევითი ცენტრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ააიპ „მედიააკადემია“ (შემდგომში „აკადემია“) ამასთან, აღნიშნული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად კომისია უფლებამოსილია კომისიის ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი თანხები. აკადემიის ფუნქციების განხორციელების მიზნით კომისია თავისი საბიუჯეტო სახსრებიდან გამოყოფს მიზნობრივი დაფინანსების სახით 3,092,809 ლარს, რომელიც გაერთიანდება კომისიის ბიუჯეტის, „მედიაწიგნიერების ხარჯების“ მუხლში.

გარდა აკადემიის მიზნობრივი დაფინანსებისა, კომისიის ბიუჯეტის „მედიაწიგნიერების ხარჯების“ მუხლში, რომელიც დაგეგმილია „მაუწყებლობის შესახებ“ და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებში 2017 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განსაზღვრულია კომისიის მიერ მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის 574,720.00 ლარის ხარჯის გაწევა. სულ „მედიაწიგნიერების ხარჯები“-ს მუხლმა შეადგინა 3,667,529 ლარი.

ეროვნული „მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს კომისიის 2020 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

დასახელება	ბიუჯეტი 2020
სულ შემოსავლები და სარეზერვო ფონდი	15,132,000
რეგულირების საფასური	8,645,994
რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	3,138,075
საპროცენტო შემოსავლები	213,000
სარეზერვო ფონდი	3,134,931
სულ ხარჯები	15,132,000

გრძელვადიანი აქტივები (დარგობრივი აპარატურა, ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამები და სხვა)	592,637
საკანცელარიო და ჟურნალ-გაზეთების ხარჯი	72,670
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯი	205,237
ავტომანქანის საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	138,320
მივლინების ხარჯები	334,540
საბანკო მომსახურეობის ხარჯები	3,000
კონფერენციის ჩატარების, მუშა სემინარების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	427,403
საწევრო გადასახადების ხარჯები	59,260
საექსპერტო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურეობების ხარჯები	1,248,082
სხვა საერთო ხარჯები	993,417
წარმომადგენლობითი ხარჯები	50,000
მიმდინარე რემონტის ხარჯები	35,000
შრომის ანაზღაურება	4,693,579
სახელმწიფო ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის გადასახადები	1,298,763
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	30,000
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურება, სახ ბიუჯეტის და საპენსიო სისტემის გადასახადები	198,778
შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი	1,083,787
მედიაწიგნიერების ხარჯი	3,667,529

2. დამტკიცდეს აკადემიის 2020 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

დასახელება	ბიუჯეტი 2020
გრძელვადიანი აქტივები	181,306
შრომის ანაზღაურება	821,788
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	2,089,716
სულ	3,092,809

3. დაევალოს აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს მიზნობრივი დაფინანსების მისაღებად კომისიაში ინვოისების წარმოდგენა;
4. დაევალოს აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს კომისიაში ყოველთვიური ფაქტიური ხარჯების ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, თანდართულ ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციების ასლებთან ერთად, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით;
5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს

7. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #6) ერთი თვის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის უფროსს (ო. ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

წევრი

ვახტანგ აბაშიძე

წევრი